საქართველოს მთავრობის

დადგენილება №345

2018 წლის 28 ივნისი

ქ. თბილისი

ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორების საქმიანობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორების საქმიანობასთან დაკავშირებული მოთხოვნები“.

მუხლი 2

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „ტექნიკური რეგლამენტის – ვეტერინარული პრეპარატების წარმოების, შენახვის, გადაზიდვის, აღრიცხვისა და გაცემის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №436 დადგენილება;

ბ) „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების ვეტერინარული სამსახურების (ვეტერინარული აფთიაქები, სავაჭრო ობიექტები, კლინიკები, კოსმეტიკური კაბინეტები და სხვა ობიექტები) ტიპობრივი წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 16 სექტემბრის №2-215 ბრძანება;

გ) „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების ვეტერინარული ლაბორატორიების (სადიაგნოსტიკო განყოფილების) ტიპობრივი წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2006 წლის 4 მაისის №2-74 ბრძანება.

მუხლი 3

1. ეს დადგენილება, გარდა ამ დადგენილებით დამტკიცებული „ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორების საქმიანობასთან დაკავშირებული მოთხოვნების“ პირველი მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებისა, ამოქმედდეს 2018 წლის პირველი სექტემბრიდან.
2. ამ დადგენილებით დამტკიცებული „ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორების საქმიანობასთან დაკავშირებული მოთხოვნების“ პირველი მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ამოქმედდეს 2020 წლის პირველი იანვრიდან.

მუხლი 4

1. ფარმაცევტული წარმოების ნებართვა, რომელიც გაცემულია სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ ამ დადგენილების ამოქმედებამდე, ინარჩუნებს იურიდიულ ძალას ამ დადგენილების ამოქმედების შემდეგაც.
2. ამ დადგენილებით დამტკიცებული „ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორების საქმიანობასთან დაკავშირებული მოთხოვნების“ 3^1 მუხლის მოქმედება გავრცელდეს ამავე დადგენილების ამოქმედების შემდეგ რეგისტრირებულ ვეტერინარულ პრეპარატებზე.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 ივლისის დადგენილება №391 - ვებგვერდი, 27.07.2022 წ.

მუხლი 5

პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ფლობს ვეტერინარიის მიმართულების პროფესიული მომზადების ან პროფესიული გადამზადების პროგრამის მესამე ან მეოთხე დონის სერტიფიკატს, უფლებამოსილია, 2030 წლის 1 იანვრამდე, სახელმწიფო სერტიფიკატის გარეშე განახორციელოს ვეტერინარი ტექნიკოსის საქმიანობა ვეტერინარულ აფთიაქში ან/და ვეტერინარული პრეპარატების საბითუმო ვაჭრობის ობიექტში.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 12 მარტის დადგენილება №103 - ვებგვერდი, 13.03.2026წ.

ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორების საქმიანობასთან დაკავშირებული მოთხოვნები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. „ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორების საქმიანობასთან დაკავშირებული მოთხოვნები“ (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორების – ვეტერინარული პრეპარატების საწარმოს, ვეტერინარული აფთიაქის, ვეტერინარული პრეპარატების საბითუმო ვაჭრობის ობიექტის, ვეტერინარული დაწესებულების, ცხოველების მოვლისა და ჰიგიენური მომსახურების (გრუმინგი) ობიექტის, შინაური ბინადარი ცხოველების რეალიზატორის, ზოომაღაზიის, ცხოველების დროებითი მოთავსების ობიექტის (სასტუმრო), საშენის, კინოლოგიური/ ფელინოლოგიური დაწესებულების და ცხოველთა თავშესაფრის საქმიანობასთან დაკავშირებულ უფლება-მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს.

2. ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელმა ბიზნესოპერატორებმა უნდა დაიცვან ცხოველთა ჯანმრთელობის საერთაშორისო ორგანიზაციის (WOAH) ხმელეთის და წყლის ცხოველების კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები.

3. ვეტერინარულ აფთიაქში, ვეტერინარული პრეპარატების საბითუმო ვაჭრობის ობიექტში, ვეტერინარულ დაწესებულებასა და ცხოველთა თავშესაფარში ვეტერინარული საქმიანობა უნდა განახორციელოს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სერტიფიცირებულმა ვეტერინარმა ან/და ვეტერინარმა ტექნიკოსმა.

4. იმ შემთხვევაში, თუ ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორი ახორციელებს ამ დადგენილებით განსაზღვრულ რამდენიმე საქმიანობას, ის ვალდებულია დაიცვას ამ საქმიანობებთან დაკავშირებული, ამავე დადგენილებით განსაზღვრული შესაბამისი მოთხოვნები.

5. ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, განახორციელოს შესაბამისი საქმიანობის/საქმიანობების რეგისტრაცია ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციის გარდა:

ა) ვეტერინარული დაწესებულება და ცხოველთა თავშესაფარი, როგორც სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების გამომყენებელი ბიზნესოპერატორები ვალდებული არიან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დარეგისტრირდნენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში – სააგენტო) ვეტერინარულ და ცხოველთა ჭერის საქმიანობის განმახორციელებელ სამსახურად;

ბ) საშენი ვალდებულია გაიაროს რეგისტრაცია მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. დაავადებების პროფილაქტიკასა და მკურნალობას ახორციელებს მხოლოდ ვეტერინარული დაწესებულება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ცხოველის ვეტერინარულ მომსახურებას ახორციელებს ვეტერინარი ან ვეტერინარი ტექნიკოსი, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ზოომაღაზია, რომელიც თავისი საქმიანობის გარდა ახორციელებს შინაური ბინადარი ცხოველების რეალიზაციას, ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დარეგისტრირდეს ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში, როგორც შინაური ბინადარი ცხოველის რეალიზატორი და

დააკმაყოფილოს შინაური ბინადარი ცხოველის რეალიზატორის მოთხოვნები.

10. ცხოველების მოვლისა და ჰიგიენური მომსახურების (გრუმინგი) ობიექტი, ცხოველების დროებითი მოთავსების ობიექტი (სასტუმრო), კინოლოგიური/ფელინოლოგიური დაწესებულება, შინაური ბინადარი ცხოველის რეალიზატორი და ზოომაღაზია ვალდებული არიან, შინაური ბინადარი ცხოველის მიღებისთანავე გადაამოწმონ მისი იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია მონაცემთა ერთიან ბაზაში.

11. ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული გადამოწმების შედეგად, ცხოველების მოვლისა და ჰიგიენური მომსახურების (გრუმინგი) ობიექტი, ცხოველების დროებითი მოთავსების ობიექტი (სასტუმრო) და კინოლოგიური/ფელინოლოგიური დაწესებულება უფლებამოსილი არ არიან, მომსახურება გაუწიონ ცხოველს, რომელიც რეგისტრირებული არ არის მონაცემთა ერთიან ბაზაში, ხოლო რეალიზატორს, ზოომაღაზიასა და საშენს უფლება არ აქვთ, ჰყავდეთ შინაური ბინადარი ცხოველი, რომელიც რეგისტრირებული არ არის მონაცემთა ერთიან ბაზაში.

12. ვეტერინარული დაწესებულება და ცხოველთა თავშესაფარი ვალდებული არიან, ცხოველის მიღებისთანავე გადაამოწმონ მისი იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია მონაცემთა ერთიან ბაზაში. იმ შემთხვევაში, თუ ცხოველის შესახებ ინფორმაცია არ არის შეტანილი მონაცემთა ერთიან ბაზაში:

ა) პატრონიანი ცხოველის მიღების შემთხვევაში, ვეტერინარული დაწესებულება და ცხოველთა თავშესაფარი ვალდებული არიან, თავად უზრუნველყონ მისი იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. ამ შემთხვევაში, ცხოველის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს ანაზღაურებს ცხოველის მეპატრონე;

ბ) მიკედლებული/უპატრონო ცხოველის მიღების შემთხვევაში, ვეტერინარული დაწესებულება და ცხოველთა თავშესაფარი უფლებამოსილი არიან, თავად უზრუნველყონ ცხოველის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია, ხოლო ამ პროცედურების ჩატარების შეუძლებლობის შემთხვევაში, ვალდებული არიან, მიმართონ მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების მიზნით.

13. ვეტერინარულ დაწესებულებასა და ცხოველთა თავშესაფარს უფლება აქვთ, მომსახურება გაუწიონ არაიდენტიფიცირებულ და არარეგისტრირებულ ცხოველს, რომელსაც ესაჭიროება გადაუდებელი ვეტერინარული მომსახურება. ასეთ შემთხვევაში, ვეტერინარული დაწესებულება და ცხოველთა თავშესაფარი ვალდებული არიან, მხოლოდ გადაუდებელი ვეტერინარული მომსახურების შემდეგ უზრუნველყონ ამ მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურები.

14. ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორი ვალდებულია დაიცვას ცხოველის კეთილდღეობის პრინციპები: თავისუფალი ხელმისაწვდომობა წყალსა და საკვებზე; უსაფრთხო საარსებო გარემოსა და სათანადო საარსებო პირობების შექმნა; დაავადებების პრევენცია და მკურნალობა.

15. დაუშვებელია ცხოველის ევთანაზია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

16. ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორი ვალდებულია უზრუნველყოს ნარჩენების მართვა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

17. ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სააგენტო.

18. ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორი ვალდებულია ხელი შეუწყოს სააგენტოს უფლებამოსილ პირს სახელმწიფო კონტროლის განხორციელებაში.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 12 მარტის დადგენილება №103 - ვებგვერდი, 13.03.2026წ.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესის მიზნებისთვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ვეტერინარული პრეპარატების საწარმო** – ობიექტი, სადაც ხორციელდება ვეტერინარული პრეპარატის სერიული წარმოება ან/და დაფასოება;

ბ) **ვეტერინარული აფთიაქი/ვეტერინარული პრეპარატების საბითუმო ვაჭრობის ობიექტი** – ობიექტი, სადაც ხორციელდება ვეტერინარული პრეპარატების, ცხოველთა საკვებისა და საკვებდანამატების, ცხოველთა ჰიგიენური და მოვლის საშუალებებისა და ვეტერინარული დანიშნულების საგნებისა და აქსესუარების რეალიზაცია;

გ) **ვეტერინარული დაწესებულება** – პირი, რომელიც ახორციელებს ცხოველის ვეტერინარულ მომსახურებას, მათ შორის, ცხოველის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციას, სტერილიზაციას/კასტრაციას, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისთვის დაავადებების პროფილაქტიკასა და მკურნალობას, ზოონოზური დაავადებებისგან დაცვას (მათ შორის, ანტირაბიულ ვაქცინაციას);

დ) **ცხოველების მოვლისა და ჰიგიენური მომსახურების (გრუმინგი) ობიექტი (შემდგომში – გრუმინგი)** – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული პირი, რომელიც ახორციელებს ცხოველის ჰიგიენური და გარეგნული მდგომარეობის შენარჩუნებასთან/ გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ მომსახურებას;

ე) **ზოომაღაზია –** ობიექტი, სადაც ხორციელდება ცხოველის (გარდა შინაური ბინადარი ცხოველისა), მათ შორის, ფრინველის, ცხოველთა საკვების (გარდა სამკურნალო საკვებისა) და საკვებდანამატის, ცხოველთა ჰიგიენური და მოვლის საშუალებების, ვეტერინარული დანიშნულების საგნებისა და აქსესუარების რეალიზაცია;

ვ) **ცხოველების თავშესაფარი (შემდგომში – თავშესაფარი) –** პირი, რომელიც უზრუნველყოფს შინაური ბინადარი ცხოველის დროებით მოვლა-პატრონობას, იდენტიფიკაცია-რეგისტრაციას, სტერილიზაციას/კასტრაციას და ვაქცინაციას ან/და უპატრონო ცხოველისთვის მეპატრონის/მიმკედლებლის მოძიებას. თავშესაფარი შესაძლებელია, იყოს მუნიციპალური თავშესაფარი ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული კერძო თავშესაფარი;

ზ) **ვეტერინარული დანიშნულების საგნები** – ვეტერინარული მომსახურებისა და ცხოველთა მოვლისათვის გამოსაყენებელი საგნები, ასევე ვეტერინარიაში გამოსაყენებელი ინსტრუმენტები, მოწყობილობები, დანადგარები, ტექნიკა, შესახვევი მასალა და სხვა;

თ) **ვეტერინარი** – პირი, რომელსაც აქვს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შესაბამისი დიპლომი ან ვეტერინარის სერტიფიკატი, შეყვანილია ვეტერინართა რეესტრში და მოპოვებული აქვს ვეტერინარის სახელმწიფო სერტიფიკატი, ვეტერინარული საქმიანობის განსახორციელებლად;

ი) **ვეტერინარი ტექნიკოსი** – პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – დიპლომი, შეყვანილია ვეტერინარ ტექნიკოსთა რეესტრში, მოპოვებული აქვს ვეტერინარი ტექნიკოსის სახელმწიფო სერტიფიკატი და უფლება აქვს, ეწეოდეს ვეტერინარულ საქმიანობას ვეტერინარის ზედამხედველობის ქვეშ;

კ) **ფალსიფიცირებული ვეტერინარული პრეპარატი** – დადგენილი შემადგენლობის ან/და მწარმოებელთან დაკავშირებით მიზანმიმართულად არასწორად ეტიკეტირებული ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატი;

ლ) **ვადაგასული ვეტერინარული პრეპარატი** – ფარმაკოპეის სტანდარტით, დადგენილი სტანდარტით ან სხვა ნორმატიული აქტით გათვალისწინებული ვარგისიანობის ვადაგასული პრეპარატი;

მ) **უვარგისად მიჩნეული ვეტერინარული პრეპარატი** – ორგანოლეპტიკური მაჩვენებლების, ლაბორატორიული გამოკვლევით სტანდარტთან შეუსაბამო, ჰერმეტულობის, პირველადი შეფუთვის დარღვევისა და სხვა დეფექტის მქონე ვეტერინარული პრეპარატი;

ნ) **ტექნოლოგიური რეგლამენტი** – მწარმოებლის მიერ დამტკიცებული დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრულია ცალკე აღებულ საწარმოში კონკრეტული ვეტერინარული პრეპარატის წარმოების:

ნ.ა) ტექნოლოგიური პროცესი;

ნ.ბ) ტექნიკური საშუალებები;

ნ.გ) ნედლეული და მასალები, მათი ხარისხი და ხარჯის ნორმები;

ნ.დ) მუშაობის უსაფრთხოების, შრომის დაცვის, გარემოს დაცვისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები;

ო) **ინსტრუქცია** – დოკუმენტი, რომელიც შეიცავს დეტალურ ინფორმაციას ვეტერინარული პრეპარატის შესახებ და სავალდებულოა სახელმწიფო რეგისტრაციისთვის;

პ) **ანოტაცია (ჩანართი ფურცელი)** – დანართი, რომელიც განკუთვნილია მომხმარებლისთვის და თან ახლავს ვეტერინარულ პრეპარატს;

ჟ) **ეტიკეტირება** – ინფორმაციის განთავსება პირველად ან მეორეულ შეფუთვაზე;

რ) **ცხოველების დროებითი მოთავსების ობიექტი (სასტუმრო) (შემდგომში – სასტუმრო)** – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული პირი, რომელიც უზრუნველყოფს მეპატრონის მიერ მიბარებული ცხოველის დროებით განთავსებასა და მოვლა-პატრონობას;

ს) **საშენი** – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული პირი, რომელიც ახორციელებს ცხოველების მიზნობრივ და გეგმაზომიერ მოშენებას, აგრეთვე ცხოველის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციას, სანაშენე წიგნის (დოკუმენტი, რომელშიც შეტანილია ინფორმაცია ცხოველის წინაპრების შესახებ) წარმოებას, სანაშენე ცხოველისა და მიღებული ნაყარის დოკუმენტურ აღრიცხვას;

ტ) **კინოლოგიური/ფელინოლოგიური დაწესებულება** – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული პირი, რომელიც ახორციელებს საკონსულტაციო/საგანმანათლებლო მომსახურებას, მათ შორის, შინაური ბინადარი ცხოველის მოშენების, წვრთნის, სოციალიზაციის, ქცევის კორექციისა და მოვლა-პატრონობის მიმართულებებით;

უ) **შინაური ბინადარი ცხოველის რეალიზატორი (შემდგომში – რეალიზატორი)** – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული პირი, რომელიც ახორციელებს შინაური ბინადარი ცხოველის მოვლა-პატრონობას, ყიდის მას, აგრეთვე უზრუნველყოფს ცოფისა და სხვა საშიში დაავადებების საწინააღმდეგო დროულ ვაქცინაციასა და სხვა სახის ვეტერინარულ მომსახურებას;

ფ) **ვეტერინარული საქმიანობა** – ღონისძიებათა სისტემა, რომელიც გამოიყენება ცხოველის/ადამიანის ჯანმრთელობის დასაცავად, ცხოველების კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად და მოიცავს ცხოველთა ჯანმრთელობის, ცხოველური პროდუქტების ჰიგიენისა და ცხოველთა დაცვის სფეროში საქმიანობას.

2. ამ წესის მიზნებისათვის ასევე გამოიყენება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსითა და „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ტერმინები.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 ივლისის დადგენილება №391 - ვებგვერდი, 27.07.2022 წ.
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 27 სექტემბრის დადგენილება №373 – ვებგვერდი, 28.09.2023წ.
საქართველოს მთავრობის 2026 წლის 12 მარტის დადგენილება №103 - ვებგვერდი, 13.03.2026წ.

მუხლი 3. ვეტერინარული პრეპარატების საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. ქვეყანაში ვეტერინარული პრეპარატის წარმოება უნდა განხორციელდეს ავტორიზაციის საფუძველზე. წარმოების ავტორიზაცია ასევე მოითხოვება ექსპორტისთვის განკუთვნილი

ვეტერინარული პრეპარატების წარმოებისთვისაც.

2. ვეტერინარული პრეპარატების წარმოების ავტორიზაცია მოითხოვება როგორც მთლიანი, ასევე ნაწილობრივი წარმოებისა და დაფასოების, შეფუთვის ან წარდგენის სხვადასხვა პროცესისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს პროცესები ხორციელდება მხოლოდ საცალო მიწოდებისთვის ვეტერინარული აფთიაქიდან.

3. დაუშვებელია საქართველოში არარეგისტრირებული ვეტერინარული პრეპარატის წარმოება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი მზადდება რეგისტრაციისთვის, ექსპერიმენტული კვლევისა და ექსპორტისათვის.

4. ვეტერინარული პრეპარატების წარმოების ავტორიზაციის მოპოვების მიზნით, განმცხადებელმა უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები:

ა) თავის განკარგულებაში უნდა ჰქონდეს წარმოებისთვის შესაფერისი და სათანადო შენობები, ტექნიკური მოწყობილობა და კონტროლის საშუალებები, რომლებიც აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს პროდუქტის წარმოებასა და კონტროლთან, ასევე შენახვასთან დაკავშირებით;

ბ) მუდმივად უნდა სარგებლობდეს ერთი კვალიფიციური პირის მომსახურებით მაინც.

5. ვეტერინარული პრეპარატების წარმოების ავტორიზაციის მოპოვების მიზნით, ავტორიზაციის მაძიებელი განცხადებით მიმართავს სააგენტოს.

6. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს:

ა) ბიზნესოპერატორის საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი/კოდი, ეკონომიკური საქმიანობის ადგილი (მისამართი), ეკონომიკური საქმიანობის სახე (სექცია, განყოფილება, ჯგუფი, კლასი, ქვეკლასი);

ბ) ვეტერინარული პრეპარატები და ფარმაცევტული ფორმები, რომლებიც უნდა იქნეს წარმოებული და ადგილი, სადაც მათი წარმოება და/ან კონტროლი განხორციელდება.

7. განცხადებას თან უნდა ახლდეს:

ა) ფარმაცევტული წარმოებისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობის სიტუაციური გეგმა (ნახაზი), სათავსების დანიშნულებისა და განთავსების მითითებით. საწარმოო ფართობი უნდა იყოს იზოლირებული და გამოიყენებოდეს მხოლოდ ფარმაცევტული წარმოებისთვის;

ბ) ინფორმაცია ფარმაცევტული საქმიანობისათვის პასუხისმგებელი პირების შესახებ;

გ) სამკურნალო საშუალების ტექნოლოგიური რეგლამენტი.

8. განცხადების მიღებიდან ერთი თვის ვადაში სააგენტომ ადგილზე უნდა განახორციელოს ბიზნესოპერატორის ინსპექტირება, ამ მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტებში მითითებული მონაცემების სიზუსტის გადამოწმების მიზნით.

9. ინსპექტირების შედეგების მიხედვით, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას ავტორიზაციის გაცემის ან ავტორიზაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ ინსპექტირების დასრულებიდან 10 დღის განმავლობაში.

10. სააგენტო გასცემს ავტორიზაციას იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესოპერატორის საქმიანობა სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

11. თუ ინსპექტირების შედეგებით დადგენილი იქნება, რომ ბიზნესოპერატორის საქმიანობა ნაწილობრივ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და, ამასთანავე, არ არსებობს ავტორიზაციის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი, სააგენტო ბიზნესოპერატორს აძლევს

მითითებებს და განუსაზღვრავს გონივრულ ვადას შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად.

12. გონივრული ვადის გასვლის შემდგომ, სააგენტო ახორციელებს განმეორებით ინსპექტირებას, რომლის საფუძველზე:

ა) ბიზნესოპერატორს არ ენიჭება ავტორიზაცია და უწყდება საქმიანობა იმ შემთხვევაში, თუ მისი საქმიანობა სრულად არ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) ბიზნესოპერატორს ენიჭება ავტორიზაცია იმ შემთხვევაში, თუ მისი საქმიანობა სრულად აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

13. ავტორიზაცია ვრცელდება მხოლოდ განცხადებაში განსაზღვრულ შენობებზე, ვეტერინარულ პრეპარატსა და ფარმაცევტულ ფორმებზე.

14. იმ შემთხვევაში, თუ წარმოების ავტორიზაციის მფლობელი ითხოვს ცვლილებას ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ მონაცემებში, ამ მოთხოვნასთან დაკავშირებული პროცედურისთვის საჭირო დრო არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს. გამონაკლის შემთხვევებში აღნიშნული ვადა შესაძლოა, გაგრძელდეს 90 დღემდე.

15. სააგენტომ შესაძლოა, მოსთხოვოს განმცხადებელს დამატებითი ინფორმაცია ამ მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების შესაბამისად მიწოდებული მონაცემებისა და ასევე კვალიფიციური პირის შესახებ, რა დროსაც ამ მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტებით განსაზღვრული ვადის დენა ჩერდება მოთხოვნილი დამატებითი მონაცემების წარდგენამდე.

16. ვეტერინარული პრეპარატების წარმოების ავტორიზაციის მფლობელი ვალდებულია:

ა) ჰყავდეს შესაბამისი განათლების მქონე პერსონალი, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით წარმოებასთან, ასევე კონტროლთან დაკავშირებით;

ბ) განკარგოს რეგისტრირებული ვეტერინარული პრეპარატი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

გ) საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს ცვლილება ამ მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების შესაბამისად განსაზღვრულ მონაცემებში;

დ) დაუშვას სააგენტოს წარმომადგენლები ნებისმიერ დროს თავის შენობებში;

ე) დაიცვას სამკურნალო საშუალების ტექნოლოგიური რეგლამენტი „ვეტერინარული პრეპარატების რეგისტრაციის, წარმოების ავტორიზაციისა და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 19 თებერვლის №112 დადგენილებით დამტკიცებული წესის დანართ №1-ით – „ვეტერინარული პრეპარატის გამოცდასთან დაკავშირებული ქიმიური, ფარმაცევტული და ანალიტიკური სტანდარტები, უსაფრთხოების და ნაშთის განმსაზღვრელი ტესტები, წინაკლინიკური და კლინიკური გამოცდა“ განსაზღვრული GMP-ის სტანდარტის პრინციპებისა და სახელმძღვანელო მითითებების ძალაში შესვლამდე, რომელიც გამოქვეყნებულია ევროკომისიის მიერ, „სამკურნალო საშუალებების მარეგულირებელი წესები ევროკავშირში“, ტომი 4;

ვ) აწარმოოს მის მიერ წარმოებული და მიწოდებული ყველა ვეტერინარული პრეპარატის დეტალური ჩანაწერები. ჩანაწერებში უნდა აღრიცხოს შემდეგი ინფორმაცია:

ვ.ა) თარიღი;

ვ.ბ) ვეტერინარული პრეპარატის დასახელება;

ვ.გ) მიწოდებული რაოდენობა;

ვ.დ) მიმღების სახელი, გვარი და მისამართი;

ვ.ე) წარმოების სერიის ნომერი.

17. ამ მუხლის მე-16 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ჩანაწერები ხელმისაწვდომი უნდა იყოს სააგენტოს მიერ შემოწმებისთვის, სულ მცირე, სამი წლის განმავლობაში.

18. კვალიფიციურ პირს უნდა ჰქონდეს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

19. კვალიფიციური პირი, ვეტერინარული პრეპარატების წარმოების ავტორიზაციის მფლობელთან სამართლებრივი ურთიერთობის გათვალისწინებით, პასუხისმგებელია, უზრუნველყოს, რომ ქვეყანაში წარმოებული ვეტერინარული პრეპარატის თითოეული სერია წარმოებულ და შემოწმებულ იქნეს საქართველოს კანონმდებლობისა და რეგისტრაციის მოთხოვნების შესაბამისად.

20. კვალიფიციურმა პირმა ვეტერინარული პრეპარატის თითოეული საწარმოო სერიის განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე ინფორმაცია უნდა შეიტანოს სპეციალურ რეესტრში ან ამ მიზნით წარდგენილ ეკვივალენტურ დოკუმენტში. რეესტრი ან ეკვივალენტური დოკუმენტი უნდა ექვემდებარებოდეს განახლებას ყველა ჩატარებული ოპერაციის მიხედვით და ხელმისაწვდომი უნდა იყოს სააგენტოს წარმომადგენლებისათვის, სულ მცირე, ხუთი წელი.

21. თუ ავტორიზაციის მფლობელი პირადად აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-18 პუნქტით განსაზღვრულ პირობებს, წარმოების ავტორიზაციის მფლობელს შეუძლია, პირადად იკისროს ამ მუხლის მე-19 და მე-20 პუნქტებით განსაზღვრული პასუხისმგებლობა.

22. ვეტერინარული პრეპარატების საწარმოს მიერ დამზადებული ვეტერინარული პრეპარატების ყველა სერია ექვემდებარება შიდა საწარმოო კონტროლს (ლაბორატორიულ კვლევას), რაც დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი ჩანაწერებით ან/და დოკუმენტებით.

23. ვეტერინარული პრეპარატების საწარმო უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) შენობის კედლების, ჭერისა და იატაკის მოპირკეთება უნდა იძლეოდეს სველი წესით დასუფთავების, საჭიროების შემთხვევაში, დეზინფექციის საშუალებას შესაბამისი ნორმების დაცვით;

ბ) შესაბამისი ინვენტარისა და მოწყობილობების დასუფთავება უნდა ხორციელდებოდეს საწარმოს მიერ დამტკიცებული მოთხოვნების შესაბამისად;

გ) ყველა ვეტერინარული პრეპარატის წარმოება უნდა ხორციელდებოდეს შესაბამისი ტექნოლოგიური რეგლამენტის მიხედვით.

24. ვეტერინარული პრეპარატების შენახვისას:

ა) შესანახი სათავსი უზრუნველყოფილი უნდა იყოს კარადით, ქვეშსადებითა და თაროთი, მათი განლაგება ხელს არ უნდა უშლიდეს ნორმალურ განათებას. ამასთანავე, თაროებს შორის მანძილი უნდა უზრუნველყოფდეს ვეტერინარულ პრეპარატებთან თავისუფალ მისვლას;

ბ) გათვალისწინებული უნდა იქნეს სინათლის, ჰაერის, ტენის, სითბოსა და სხვა ფაქტორების ვეტერინარულ პრეპარატზე არახელსაყრელი ზემოქმედების რისკი;

გ) გათვალისწინებულ უნდა იქნეს ფიზიკურ-ქიმიური თავსებადობა ვეტერინარულ პრეპარატებს შორის;

დ) გათვალისწინებულ უნდა იქნეს ცეცხლსაშიშროება და აალების რისკი;

ე) საჭირო ტემპერატურული რეჟიმის დასაცავად, იმუნოლოგიური ვეტერინარული პრეპარატების შენახვისათვის, სათავსი აღჭურვილი უნდა იყოს კარადა-მაცივრით ან/და სამაცივრე ოთახით. იმუნოლოგიური ვეტერინარული პრეპარატები უნდა ინახებოდეს ცალ-ცალკე, სახეობების მიხედვით;

ვ) შესანახ სათავსში ტემპერატურის, ჰაერის ტენიანობის შემოწმება და აღრიცხვა უნდა ხდებოდეს სისტემატურად;

ზ) შესანახი სათავსი უზრუნველყოფილი უნდა იყოს სავენტილაციო სისტემით;

თ) ერთისა და იმავე დასახელების ვეტერინარული პრეპარატები უნდა ინახებოდეს სერიის მიხედვით, ვარგისიანობის ვადის გათვალისწინებით;

ი) დაცული უნდა იქნეს ეტიკეტით ან/და თანმხლები ინსტრუქციით განსაზღვრული პირობები;

კ) შენახვისას და ტრანსპორტირებისას ტარაზე დატანილ უნდა იქნეს ინფორმაცია პროდუქციის სახელწოდების, რაოდენობის, დამზადების სერიის ნომრის, თარიღის, ვარგისიანობის ვადისა და დამამზადებელი საწარმოს შესახებ;

ლ) არ უნდა იქნეს დარღვეული საწარმოო შეფუთვის (პირველადი შეფუთვა) მთლიანობა.

25. ვეტერინარული პრეპარატების საწარმოში წარმოებულ ვეტერინარული პრეპარატის ხარისხზე/უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია ბიზნესოპერატორი.

26. სააგენტომ ვეტერინარული პრეპარატების წარმოების ავტორიზაციის შესახებ ინფორმაცია უნდა შეიტანოს მონაცემთა ბაზაში.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 ივლისის დადგენილება №391 - ვებგვერდი, 27.07.2022 წ.

მუხლი 3^1. ვეტერინარული პრეპარატების ეტიკეტირება და ანოტაცია (ჩანართი ფურცელი)

1. ვეტერინარული პრეპარატის პირველად და მეორეულ შეფუთვაზე მითითებული უნდა იქნეს ინფორმაცია, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ვეტერინარული პრეპარატების რეგისტრაციისთვის წარდგენილ დოკუმენტებსა და მონაცემებს, გამოსახული უნდა იყოს გარკვევით და გასაგებად.

2. ვეტერინარული პრეპარატის პირველადი შეფუთვა უნდა შეიცავდეს მინიმუმ შემდეგ ინფორმაციას:

ა) ვეტერინარული პრეპარატის დასახელებას, მოქმედების ძალასა და ფარმაცევტულ ფორმას;

ბ) რაოდენობრივად და თვისობრივად გამოხატული აქტიური სუბსტანციების თითოეულ ერთეულზე ან, მიღების ფორმის შესაბამისად, კონკრეტულ მოცულობაზე ან წონაზე განაცხადს, ზოგადი დასახელებების გამოყენებით;

გ) წარმოების სერიის/ლოტის ნომერს;

დ) მწარმოებლის/სავაჭრო ლიცენზიის მფლობელის სახელს ან საფირმო დასახელებასა და იურიდიულ ან/და ფაქტობრივ მისამართს;

ე) ცხოველის სახეობების შესახებ, რომელთათვისაც არის განკუთვნილი ვეტერინარული პრეპარატი, მეთოდი და, საჭიროების შემთხვევაში, მიღების გზა, დოზა;

ვ) ვარგისობის ვადას (თვე, წელი);

ზ) შენახვის სპეციალურ წესებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

თ) ვეტერინარული პრეპარატის ლოდინის (გამოყოფის) პერიოდს სასურსათო დანიშნულების ყველა სამიზნე სახეობის ცხოველისა და სასურსათო ნედლეულისათვის (ხორცი და სუბპროდუქტი, კვერცხი, რძე, თაფლი), მათ შორის, როცა ლოდინის პერიოდი ნულის ტოლია.

3. ვეტერინარული სამკურნალო პროდუქტის მეორეული შეფუთვა უნდა შეიცავდეს მინიმუმ შემდეგ ინფორმაციას:

ა) ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას;

ბ) ვეტერინარული პრეპარატის რაოდენობას, მასას, მოცულობას, დოზათა რაოდენობას ან პირველადი შეფუთვის ერთეულის რაოდენობას;

გ) გაფრთხილებას, რომ ვეტერინარული პრეპარატი უნდა ინახებოდეს ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას;

დ) გაფრთხილებას, რომ ვეტერინარული პრეპარატი არის „მხოლოდ ცხოველების სამკურნალოდ“ ან „ცხოველების სამკურნალოდ“ ან „მხოლოდ ვეტერინარული გამოყენებისთვის“ ან „ვეტერინარული გამოყენებისთვის“ ან მსგავსი შინაარსის ჩანაწერს;

ე) რეკომენდაციას ანოტაციის (ჩანართი ფურცლის) წაკითხვის შესახებ.

4. მეორეული შეფუთვის არარსებობის შემთხვევაში, ყველა მონაცემი, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს მეორეულ შეფუთვაზე, უნდა მიეთითოს პირველად შეფუთვაზე.

5. ბლისტერის ან ისეთი მცირე ზომის პირველადი შეფუთვის შემთხვევაში, როდესაც შეფუთვაზე ვერ ხერხდება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების განთავსება, პირველადი შეფუთვა უნდა შეიცავდეს მინიმუმ შემდეგ ინფორმაციას:

ა) ვეტერინარული პრეპარატის დასახელებას;

ბ) აქტიური სუბსტანციების რაოდენობას;

გ) წარმოების სერიის/ლოტის ნომერს;

დ) ვარგისობის ვადას (თვე, წელი).

6. ვეტერინარულ პრეპარატს, რომელსაც აქვს მცირე ზომის პირველადი შეფუთვა ან ბლისტერს, უნდა ჰქონდეს მეორეული შეფუთვა, რომელზეც უნდა მიეთითოს ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მეორეული შეფუთვისთვის მოთხოვნილი ინფორმაცია.

7. მწარმოებელს/სავაჭრო ლიცენზიის მფლობელს უფლება აქვს, პირველად და მეორეულ შეფუთვაზე დაიტანოს ვეტერინარული პრეპარატის შესახებ დამატებითი ინფორმაცია, რომელიც უნდა ემთხვეოდეს ინსტრუქციას და არ უნდა წარმოადგენდეს ვეტერინარული პრეპარატის რეკლამას.

8. იმ შემთხვევაში, თუ ვეტერინარული პრეპარატის რეგისტრაციის დროს პირველადი და მეორეული შეფუთვა წარმოდგენილი იქნა უცხო ენაზე (გარდა ქართულის, რუსულისა და ინგლისური ენებისა), წარმოდგენილ უნდა იქნეს პირველადი ან/და მეორეული შეფუთვის ეტიკეტის ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი.

9. მწარმოებელმა/სავაჭრო ლიცენზიის მფლობელმა თითოეული ვეტერინარული პრეპარატი უნდა უზრუნველყოს ანოტაციით (ჩანართი ფურცლით). ანოტაცია (ჩანართი ფურცელი) უნდა შეიცავდეს მინიმუმ შემდეგ ინფორმაციას:

ა) მწარმოებლის/სავაჭრო ლიცენზიის მფლობელის სახელს ან საფირმო დასახელებას და იურიდიულ ან/და ფაქტობრივ მისამართს;

ბ) ვეტერინარული პრეპარატის დასახელებას, მოქმედების ძალასა და ფარმაცევტულ ფორმას;

გ) აქტიური ნივთიერების ან ნივთიერებების ხარისხობრივ და რაოდენობრივ შემადგენლობას;

დ) სამიზნე სახეობებს, დოზას თითოეული სახეობისთვის, შეყვანის გზას და, საჭიროების შემთხვევაში, რჩევებს პრეპარატის სწორი გამოყენების შესახებ;

ე) თერაპიულ ჩვენებებს;

ვ) უკუჩვენებებსა და გვერდით მოქმედებებს;

ზ) ვეტერინარული პრეპარატის ლოდინის (გამოყოფის) პერიოდს სასურსათო დანიშნულების ყველა სამიზნე სახეობის ცხოველისა და სასურსათო ნედლეულისათვის (ხორცი და სუბპროდუქტი, კვერცხი, რძე, თაფლი), მათ შორის, როცა ლოდინის პერიოდი ნულის ტოლია;

თ) შენახვის სპეციალურ წესებს, ასეთის არსებობისას;

ი) უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვისთვის აუცილებელ ინფორმაციას, მათ შორის, გამოყენებასთან დაკავშირებულ რაიმე განსაკუთრებულ სიფრთხილის ზომებსა და ნებისმიერ სხვა გაფრთხილებას;

კ) ფარმაკო-თერაპიულ ჯგუფსა და ანატომიურ-თერაპიულ-ქიმიურ ვეტერინარულ კოდს (ATC VET CODE).

10. ანოტაციის (ჩანართი ფურცლის) ჩართვა ვეტერინარული პრეპარატის შეფუთვაში სავალდებულოა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამ მუხლით მოთხოვნილი ყველა ინფორმაციის გადატანა შესაძლებელი იქნება პირველად ან/და მეორეულ შეფუთვაზე. ანოტაცია (ჩანართი ფურცელი) დაკავშირებული უნდა იყოს მხოლოდ იმ ვეტერინარულ პრეპარატთან, რომელშიც არის ჩართული.

11. ანოტაცია (ჩანართი ფურცელი) შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ისეთი ტერმინებით, რომლებიც გასაგებია ფართო საზოგადოებისთვის. აგრეთვე ქართულ ენასთან ერთად დასაშვებია ანოტაციის (ჩანართი ფურცლის) შედგენა სხვა ენებზეც, იმ პირობით, რომ მოცემული ინფორმაცია ყველა ენაზე იდენტური იქნება.

12. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში მითითებული ინფორმაცია შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ალტერნატიული ფორმით ვეტერინარული პრეპარატის შეფუთვაზე.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 ივლისის დადგენილება №391 - ვებგვერდი, 27.07.2022 წ.
საქართველოს მთავრობის 2022 წლის 31 ოქტომბრის დადგენილება №512 – ვებგვერდი, 31.10.2022წ.
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 27 სექტემბრის დადგენილება №373 – ვებგვერდი, 28.09.2023წ.

მუხლი 4. ვეტერინარული აფთიაქის, ვეტერინარული პრეპარატების საბითუმო ვაჭრობის ობიექტის საქმიანობასთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. ვეტერინარული აფთიაქი, ვეტერინარული პრეპარატების საბითუმო ვაჭრობის ობიექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) განთავსებული უნდა იყოს იზოლირებულ შენობაში ან შენობაში –იზოლირებულად. ჰქონდეს ვენტილაცია, შენობის კედლების, ჭერისა და იატაკის მოპირკეთება უნდა იძლეოდეს სველი წესით დასუფთავების საშუალებას;

ბ) სარეალიზაციოდ დაშვებული უნდა იყოს საქართველოში რეგისტრირებული ვეტერინარული პრეპარატები. არ უნდა მოხდეს ვადაგასული, ფალსიფიცირებული და უვარგისად მიჩნეული ვეტერინარული პრეპარატების რეალიზაცია;

ბ[1]) საბოლოო მომხმარებლისთვის განკუთვნილი ვეტერინარული პრეპარატის პირველად ან/და მეორეულ შეფუთვაზე მითითებული მონაცემები უნდა იყოს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ იმპორტირებული ვეტერინარული პრეპარატის პირველად ან/და მეორეულ შეფუთვაზე მითითებული მონაცემები არ არის ქართულ ენაზე, საბოლოო მომხმარებელს, მოთხოვნის შემთხვევაში, ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ქართულ ენაზე, ანოტაციის (ჩანართი ფურცლის) სახით ან სხვა ალტერნატიული საშუალებით;

გ) უზრუნველყოფილი უნდა იყოს ვეტერინარული პრეპარატების აღრიცხვა სპეციალურ ჟურნალში ან ელექტრონული ფორმით, სადაც აღნიშნული უნდა იყოს ვეტერინარული პრეპარატის დასახელება, რაოდენობა, მიღების თარიღი, მიმწოდებლის დასახელება, სერიის ნომერი და ვარგისიანობის ვადა;

დ) ვეტერინარული პრეპარატების მიღების, შენახვისა და გაცემის დოკუმენტაცია უნდა ინახებოდეს

სამი წლის განმავლობაში;

ე) ვეტერინარი/ვეტერინარი ტექნიკოსი საქმიანობის განხორციელებისას შემოსილი უნდა იყოს სპეციალურ ტანსაცმელში;

ვ) დაუშვებელია გაცემული ვეტერინარული პრეპარატების უკან მიღება.

2. ვეტერინარული პრეპარატების შენახვისას დაცული უნდა იქნეს ამ წესის მე-3 მუხლის 24-ე პუნქტის მოთხოვნები.

3. საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების სიებში შეტანილი ნივთიერებების შენახვის წესი რეგულირდება „ვეტერინარული სამსახურისა და ცხოველთა ჭერის საქმიანობისათვის საჭირო საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა გამოყენების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2014 წლის 28 მაისის №2-107 ბრძანებით.

4. ვეტერინარული პრეპარატის მეორეული და პირველადი შეფუთვის დაშლისა და დაფასოების გზით, მომხმარებლის ინდივიდუალური საჭიროებისათვის შესაბამისი რაოდენობით ვეტერინარული პრეპარატის ხელახალი შეფუთვისა და ხელახალი ეტიკეტირების განხორციელებისათვის სავალდებულო პირობებია:

ა) ვეტერინარული პრეპარატის ორიგინალური შეფუთვის დაშლისა და დაფასოების გზით შესაბამისი რაოდენობით/დოზით სამკურნალო საშუალების გაცემა ნებადართულია ვეტერინარულ აფთიაქში;

ბ) ვეტერინარულ აფთიაქში შესაბამისი რაოდენობით/დოზით ვეტერინარული პრეპარატის ხელახალი შეფუთვა და ხელახალი ეტიკეტირება ნებადართულია მხოლოდ რეალიზაციის მომენტში;

გ) დაუშვებელია შუშხუნა ტაბლეტების რეალიზაცია ორიგინალური პირველადი შეფუთვის დაშლით;

დ) მოთხოვნის შემთხვევაში, ვეტერინარულმა აფთიაქმა უნდა უზრუნველყოს მომხმარებლისათვის ვეტერინარული პრეპარატის გამოყენების ანოტაციის (ჩანართი ფურცლის) ქართულენოვანი ვერსიის მიწოდება;

ე) ვეტერინარულმა აფთიაქმა (სპეციალიზებულმა სავაჭრო ობიექტმა) თვალსაჩინო ადგილას უნდა განათავსოს ინფორმაცია, მოთხოვნის შემთხვევაში, ქართულენოვანი ანოტაციის (ჩანართი ფურცლის) მომხმარებელზე გაცემის შესაძლებლობის შესახებ;

ვ) ორიგინალური პირველადი და მეორეული შეფუთვის (სხვადასხვა მასალის კონტეინერები), დაშლისა და დაფასოების გზით, შესაბამისი რაოდენობით/დოზით ვეტერინარული პრეპარატის ხელახალ შეფუთვასა და ხელახალ ეტიკეტირებას ექვემდებარება მხოლოდ მკვრივი წამლის ფორმები: ტაბლეტები, კაფსულები, ბოლუსები და ფხვნილები;

ზ) ვეტერინარული პრეპარატის ხელახალი შეფუთვა და ხელახალი ეტიკეტირება უნდა განხორციელდეს პრეპარატის ინსტრუქციის შესაბამისი გარემო პირობების დაცვით (ტემპერატურა, ტენიანობა);

თ) ვეტერინარული პრეპარატის ხელახალ შეფუთვასა და ხელახალ ეტიკეტირებას ვეტერინარი/ვეტერინარი ტექნიკოსი ახორციელებს ნიღბისა და ხელთათმანის მეშვეობით;

ი) ხელახალ შესაფუთ მასალად გამოყენებული უნდა იქნეს ორიგინალური პირველადი შესაფუთი მასალის ანალოგიური ან საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული შესაფუთი მასალა, რაც უზრუნველყოფს მწარმოებლის მიერ რეკომენდებული შენახვის პირობების დაცვას;

კ) ხელახალი შეფუთვის ეტიკეტზე დატანილი უნდა იქნეს შემდეგი ინფორმაცია: ვეტერინარული პრეპარატის სავაჭრო დასახელება, დოზა, სერიის ნომერი, მწარმოებლის მიერ მინიჭებული ვარგისობის ვადა, პრეპარატის გამოყენების რეკომენდებული ვადა, შენახვის განსაკუთრებული პირობები,

მოთხოვნის შემთხვევაში, მწარმოებელი ქვეყანა ან/და მწარმოებელი;

ლ) ხელახალი შეფუთვით ვეტერინარული პრეპარატის გამოყენების რეკომენდებულ ვადად განისაზღვრება რეალიზაციიდან 6 თვე. თუ ვარგისობის ვადა რეალიზაციის მომენტისათვის ნაკლებია 6 თვეზე, მაშინ ვეტერინარული პრეპარატის გამოყენების რეკომენდებულ ვადად განისაზღვრება მწარმოებლის მიერ მინიჭებული ვარგისობის ვადა;

მ) ვეტერინარული აფთიაქიდან (სპეციალიზებული სავაჭრო ობიექტიდან) ხელახალი შეფუთვით ვეტერინარული პრეპარატის გაცემისას, ვეტერინარი/ვეტერინარი ტექნიკოსი ვალდებულია, მომხმარებელს გააცნოს ეტიკეტზე დატანილი ინფორმაცია, პრეპარატის გამოყენების რეკომენდებული ვადის, შენახვის განსაკუთრებული პირობებისა და მითითებების (ასეთის არსებობისას) შესახებ.

5. ვეტერინარული პრეპარატის მეორეული და პირველადი შეფუთვის დაშლისა და დაფასოების გზით, მომხმარებლის ინდივიდუალური საჭიროებისათვის შესაბამისი რაოდენობით ვეტერინარული პრეპარატის რეალიზაციის პირობებია:

ა) მხოლოდ ორიგინალური მეორეული შეფუთვის დაშლასა და ორიგინალური პირველადი შეფუთვით გაცემას ექვემდებარება ამპულა, ფლაკონი, პაკეტი, წინასწარ შევსებული შპრიცი, კარტრიჯი, ფირფიტა/ბლისტერი;

ბ) ფირფიტის/ბლისტერის დაჭრა არ განიხილება ორიგინალური პირველადი შეფუთვის დარღვევად;

გ) მხოლოდ ორიგინალური მეორეული შეფუთვის დაშლითა და ორიგინალური პირველადი შეფუთვით შესაბამისი ოდენობით დაფასოებული ვეტერინარული პრეპარატი არ საჭიროებს ხელახალ შეფუთვასა და ხელახალ ეტიკეტირებას;

დ) თუ ბლისტერის/ფირფიტის გაჭრის შემთხვევაში ორიგინალურ პირველად შეფუთვაზე დატანილი ეტიკეტირება არ იძლევა ეტიკეტით გათვალისწინებული ინფორმაციის სრულად გაცნობის შესაძლებლობას, ვეტერინარული აფთიაქი (სპეციალიზებული სავაჭრო ობიექტი) ვალდებულია, მომხმარებელს მიაწოდოს წერილობითი ინფორმაცია (სტიკერის, ეტიკეტის ან სხვა ფორმით): ვეტერინარული პრეპარატის სავაჭრო დასახელება, დოზა, სერიის ნომერი, მწარმოებლის მიერ მინიჭებული ვარგისობის ვადა, შენახვის განსაკუთრებული პირობები, მოთხოვნის შემთხვევაში, მწარმოებელი ქვეყანა ან/და მწარმოებელი. აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება არ არის სავალდებულო, თუ ბლისტერის/ფირფიტის მოჭრილი ფორმის რეალიზაცია ხდება ორიგინალური მეორეული შეფუთვით.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 ივლისის დადგენილება №391 - ვებგვერდი, 27.07.2022წ.
საქართველოს მთავრობის 2022 წლის 31 ოქტომბრის დადგენილება №512 – ვებგვერდი, 31.10.2022წ.
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 27 სექტემბრის დადგენილება №373 – ვებგვერდი, 28.09.2023წ.
საქართველოს მთავრობის 2024 წლის 7 აგვისტოს დადგენილება №252 - ვებგვერდი, 08.08.2024წ.

მუხლი 5. ვეტერინარული დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. ვეტერინარული დაწესებულება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) განთავსებული უნდა იქნეს იზოლირებულ შენობაში ან შენობაში – იზოლირებულად. ჰქონდეს ვენტილაცია, კანალიზაცია, ცხელი და ცივი წყალმომარაგება, სანიტარიული კვანძი, ოთახების (სადაც ხდება ცხოველთა მიღება, მკურნალობა და სტაციონარული შენახვა) კედლების, ჭერისა და იატაკის მოპირკეთება უნდა იძლეოდეს სველი წესით დასუფთავების/დეზინფექციის საშუალებას;

ბ) ცალკე უნდა იქნეს გამოყოფილი მიმღები, თერაპიული და ქირურგიული განყოფილებები (კაბინეტები). დიაგნოსტიკური განყოფილების (რენტგენის კაბინეტი, ლაბორატორია და სხვა) და სტაციონარის არსებობისას, შესაბამისი განყოფილებები უნდა იყოს იზოლირებული;

გ) არსებული სამედიცინო მოწყობილობები, ავეჯი, ინვენტარი უნდა შეესაბამებოდეს სამკურნალო საქმიანობასა და ტექნიკურ პირობებს, იყოს გამართულ მდგომარეობაში, ჰქონდეს ჰიგიენური საფარი, რაც უზრუნველყოფს მათ სველი წესით დასუფთავებასა და დეზინფექციას;

დ) სანიტარიულ-ტექნიკური ხელსაწყოები და მოწყობილობები (ონკანები, ნიჟარები, აბაზანები,

უნიტაზები და სხვა) უნდა იწმინდებოდეს სისტემატურად, არ უნდა ჰქონდეს ბზარები და სხვა დეფექტები;

ე) ინსტრუმენტების, ხელსაწყოებისა და მოწყობილობების დასუფთავება, დეზინფექცია, სტერილიზაცია უნდა ხორციელდებოდეს სტანდარტის შესაბამისად;

ე[1]) აღჭურვილი უნდა იყოს, სულ მცირე, შემდეგი საშუალებებით: ცხოველების გასასინჯი მაგიდით, ინსტრუმენტების სტერილიზაციის აპარატურით, ვეტერინარული პრეპარატებისათვის განკუთვნილი მაცივრით, ბიოლოგიური და ბასრი ნარჩენების კონტეინერებით, სადეზინფექციო საშუალებებითა და სანიტარიული ინვენტარით, ვეტერინარული პრეპარატებისათვის განკუთვნილი დაცული კარადით კონტროლირებადი წვდომით;

ვ) გამოყენებული უნდა იქნეს საქართველოში რეგისტრირებული ვეტერინარული პრეპარატები. დაუშვებელია ვადაგასული, ფალსიფიცირებული და უვარგისად მიჩნეული ვეტერინარული პრეპარატების გამოყენება;

ზ) ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკა, ზოონოზური, გადამდები და არაგადამდები დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებები უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად;

თ) ქირურგიული, გინეკოლოგიური, კოსმეტიკური და სხვა ვეტერინარული მომსახურება უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად;

ი) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იმ დაავადების აღმოჩენის ან/და ეჭვის მიტანისას, რომლის შეტყობინების ფორმად მითითებულია „დაუყოვნებლივი“, ვეტერინარული დაწესებულება ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს სააგენტოს დაუყოვნებლივ, არაუმეტეს 24 საათისა, ხოლო შეტყობინებას დაქვემდებარებული დაავადებების ჩამონათვალით განსაზღვრული იმ დაავადების აღმოჩენისას ან/და ეჭვის მიტანისას, რომლის შეტყობინების ფორმად მითითებულია „აგრეგირებული“ (შემაჯამებელი) ვეტერინარული დაწესებულება ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს სააგენტოს აგრეგირებულად (ყოველთვიურად);

ი[1]) უნდა აწარმოოს ვაქცინირებული (ანტირაბიული ვაქცინაცია) ცხოველების აღრიცხვა სააგენტოს მიერ დადგენილი წესით და ინფორმაცია უნდა წარუდგინოს სააგენტოს ყოველწლიურად (გასული წლის ინფორმაცია არაუგვიანეს მომდევნო წლის 30 იანვრისა). მოწოდებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს, სულ მცირე, შემდეგ მონაცემებს: გამოყენებული ვაქცინის დასახელება, მწარმოებელი ქვეყანა, ვაქცინის სერია, აცრილი ცხოველების რაოდენობა, სახეობების მიხედვით;

კ) საჭიროების შემთხვევაში, პათოლოგიური მასალა უნდა იქნეს აღებული და ლაბორატორიაში გაგზავნილი შემდგომი გამოკვლევის მიზნით, შესაბამისი წესის დაცვით;

ლ) უზრუნველყოფილი უნდა იყოს ვეტერინარული პრეპარატების აღრიცხვა სპეციალურ ჟურნალში ან ელექტრონული ფორმით, სადაც აღნიშნული უნდა იყოს: ვეტერინარული პრეპარატის დასახელება, რაოდენობა, მიღების თარიღი, მიმწოდებლის დასახელება, სერიის ნომერი და ვარგისიანობის ვადა. მრავალდოზიანი ვეტერინარული პრეპარატების გამოყენებისას მიეთითოს პირველადი შეფუთვის დარღვევის წელი, თვე, რიცხვი და დრო;

ლ[1]) საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების მიღება, შეძენა, შენახვა, გამოყენება, ჩამოწერა, განადგურება და ანგარიშგება უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

მ) ვეტერინარმა/ვეტერინარმა ტექნიკოსმა თითოეულ ჩატარებულ ღონისძიებაზე უნდა აწარმოოს ჩანაწერები ელექტრონულად ან შესაბამის ჟურნალში, რომელიც უნდა ასახავდეს ვეტერინარული დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებულ დეტალებს;

ნ) ვეტერინარი/ვეტერინარი ტექნიკოსი საქმიანობის განხორციელებისას შემოსილი უნდა იყოს

სპეციალური ტანსაცმლით.

2. ვეტერინარული პრეპარატების შენახვისას დაცული უნდა იქნეს ამ წესის მე-3 მუხლის 24-ე პუნქტის მოთხოვნები.

3. დაცული უნდა იქნეს ცხოველებისადმი ჰუმანური დამოკიდებულების ყველა არსებული პრინციპი.

4. ვეტერინარულ დაწესებულებაში დაცული უნდა იქნეს ანტიმიკრობული საშუალებების რაციონალურად გამოყენების პრინციპი.

5. ვეტერინარულ დაწესებულებას დანერგილი უნდა ჰქონდეს ინფექციის პრევენციისა და კონტროლის გამართული სისტემა (ხელის ჰიგიენა, დეზინფექცია/სტერილიზაცია, ანტიბიოტიკების მართვა და ა. შ.).

6. ვეტერინარული დაწესებულება ვალდებულია შინაური ბინადარი ცხოველის სტერილიზაციის/კასტრაციის, კომპლექსური ვაქცინაციისა და ანტირაბიული ვაქცინაციის შესახებ ინფორმაცია შეიტანოს მონაცემთა ერთიან ბაზაში.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 ივლისის დადგენილება №391 - ვებგვერდი, 27.07.2022წ.
საქართველოს მთავრობის 2026 წლის 12 მარტის დადგენილება №103 - ვებგვერდი, 13.03.2026წ.

მუხლი 6. ცხოველთა თავშესაფრის საქმიანობასთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. თავშესაფარი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) განთავსებული უნდა იყოს იზოლირებულად, საცხოვრებელი სახლებიდან მოშორებით და უნდა იყოს შემოსაზღვრული;

ბ) ცხოველები განთავსებული უნდა იყვნენ შენობაში ან/და ვოლიერში და არ უნდა ეზღუდებოდეთ თავისუფალი სივრცის ხედვის საშუალება, შენობა ან/და ვოლიერი არ უნდა იყოს ოთხმხრივად დახურული;

გ) შენობა ან/და ვოლიერი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ვენტილაციით, კანალიზაციით, ცხელი და ცივი წყალმომარაგებით, საკვებურებითა და სარწყულებლებით და უნდა იძლეოდეს ცხოველისთვის გადაადგილებისა და საკვების მიღების საშუალებას;

დ) შენობის ოთახების, ვოლიერის (სადაც ხდება ცხოველთა განთავსება და მომსახურება) კედლების, ჭერისა და იატაკის მოპირკეთება უნდა იძლეოდეს სველი წესით დასუფთავების საშუალებასა და დეზინფექციას;

ე) არსებული მოწყობილობები, ავეჯი, ინვენტარი უნდა შეესაბამებოდეს საქმიანობასა და ტექნიკურ პირობებს, იყოს გამართულ მდგომარეობაში, ჰქონდეს ჰიგიენური საფარი, რაც უზრუნველყოფს მათ სველი წესით დასუფთავებასა და დეზინფექციას;

ვ) სანიტარიულ-ტექნიკური ხელსაწყოები და მოწყობილობები (ონკანები, ნიჟარები, აბაზანები, უნიტაზები და სხვა) უნდა იწმინდებოდეს, არ უნდა ჰქონდეს ბზარები და სხვა დეფექტები;

ზ) ინსტრუმენტების, ხელსაწყოებისა და მოწყობილობების დასუფთავება, დეზინფექცია, სტერილიზაცია უნდა ხორციელდებოდეს სტანდარტის შესაბამისად;

თ) ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკა, ზოონოზური, გადამდები და არაგადამდები დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებები უნდა განხორციელდეს დადგენილი წესების შესაბამისად, სპეციალურად გამოყოფილ შესაბამის სივრცეში;

ი) ქირურგიული და სხვა ვეტერინარული მომსახურება უნდა განხორციელდეს დადგენილი წესების შესაბამისად, სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში;

ი[1]) მოწყობილი უნდა იქნეს გასასეირნებელი სივრცე, რომელიც უზრუნველყოფს ცხოველის სათანადო

ფიზიკურ აქტივობას. საჭიროების შემთხვევაში მოწყობილი უნდა იქნეს საკარანტინო სივრცე, რომელიც უზრუნველყოფს ცხოველის იზოლაციას;

კ) გამოყენებული უნდა იქნეს საქართველოში რეგისტრირებული ვეტერინარული პრეპარატები. დაუშვებელია ვადაგასული, ფალსიფიცირებული და უვარგისად მიჩნეული ვეტერინარული პრეპარატების გამოყენება;

ლ) უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ვეტერინარული პრეპარატების აღრიცხვა სპეციალურ ჟურნალში ან ელექტრონული ფორმით, სადაც აღნიშნული უნდა იყოს: ვეტერინარული პრეპარატის დასახელება, რაოდენობა, მიღების თარიღი, მიმწოდებლის დასახელება, სერიის ნომერი და ვარგისიანობის ვადა. მრავალდოზიანი ვეტერინარული პრეპარატების გამოყენებისას მიეთითოს პირველადი შეფუთვის დარღვევის დრო;

მ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იმ დაავადების აღმოჩენისას ან/და ეჭვის მიტანისას, რომლის შეტყობინების ფორმად მითითებულია „დაუყოვნებლივი“, თავშესაფარი ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს სააგენტოს დაუყოვნებლივ, არაუმეტეს 24 საათისა, ხოლო შეტყობინებას დაქვემდებარებული დაავადებების ჩამონათვალით განსაზღვრული იმ დაავადების აღმოჩენისას ან/და ეჭვის მიტანისას, რომლის შეტყობინების ფორმად მითითებულია „აგრეგირებული“ (შემაჯამებელი) თავშესაფარი ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს სააგენტოს აგრეგირებულად (ყოველთვიურად);

მ[1]) უნდა აწარმოოს ვაქცინირებული (ანტირაბიული ვაქცინაცია) ცხოველების აღრიცხვა სააგენტოს მიერ დადგენილი წესით და ინფორმაცია უნდა წარუდგინოს სააგენტოს ყოველწლიურად (გასული წლის ინფორმაცია არაუგვიანეს მომდევნო წლის 30 იანვრისა). მოწოდებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს, სულ მცირე, შემდეგ მონაცემებს: გამოყენებული ვაქცინის დასახელება, მწარმოებელი ქვეყანა, ვაქცინის სერია, აცრილი ცხოველების რაოდენობა სახეობების მიხედვით;

ნ) ვეტერინარმა თითოეულ ჩატარებულ ღონისძიებაზე უნდა აწარმოოს ჩანაწერები ელექტრონულად ან შესაბამის ჟურნალში, რომელიც უნდა ასახავდეს თავშესაფრის საქმიანობასთან დაკავშირებულ დეტალებს;

ო) ვეტერინარი/ვეტერინარი ტექნიკოსი შემოსილი უნდა იყოს სპეციალური ტანსაცმლით;

პ) ვეტერინარული მომსახურების შედეგად მიღებული ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს კანონმდებლობის შესაბამისად;

ჟ) დანერგილი უნდა ჰქონდეს ინფექციის პრევენციისა და კონტროლის გამართული სისტემა (ხელის ჰიგიენა, დეზინფექცია/სტერილიზაცია, ანტიბიოტიკების მართვა და ა. შ.);

რ) დაცული უნდა იქნეს ანტიმიკრობული საშუალებების რაციონალურად გამოყენების პრინციპი.

2. ვეტერინარული პრეპარატების შენახვისას დაცული უნდა იქნეს ამ წესის მე-3 მუხლის 24-ე პუნქტის მოთხოვნები.

3. დაცული უნდა იქნეს ცხოველებისადმი ჰუმანური დამოკიდებულების ყველა არსებული პრინციპი.

4. თავშესაფარში შინაური ბინადარი ცხოველის მიღებისთანავე ვეტერინარი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეამოწმოს ცხოველი. ამ შემოწმების საფუძველზე, ვეტერინარის გადაწყვეტილებით, ცხოველი შეიძლება მოთავსდეს კარანტინში/იზოლატორში.

5. კერძო თავშესაფარი ვალდებულია ითანამშრომლოს სააგენტოსთან, მათ შორის, ცოფის ან სხვა ზოონოზური დაავადებების გავრცელების თავიდან ასაცილებლად.

6. კერძო თავშესაფარში ცხოველთა საშენის მოწყობა აკრძალულია.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 ივლისის დადგენილება №391 - ვებგვერდი, 27.07.2022წ.
საქართველოს მთავრობის 2026 წლის 12 მარტის დადგენილება №103 - ვებგვერდი, 13.03.2026წ.

მუხლი 7. გრუმინგის საქმიანობასთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. გრუმინგი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) განთავსებული უნდა იყოს იზოლირებულ შენობაში ან შენობაში – იზოლირებულად. ჰქონდეს ვენტილაცია, კანალიზაცია, ცხელი და ცივი წყალმომარაგება, შენობის ოთახების (სადაც ხდება ცხოველთა მიღება და მომსახურება) კედლების, ჭერისა და იატაკის მოპირკეთება უნდა იძლეოდეს სველი წესით დასუფთავების საშუალებას;

ბ) გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოში რეგისტრირებული ვეტერინარული პრეპარატები. დაუშვებელია ვადაგასული, ფალსიფიცირებული და უვარგისად მიჩნეული ვეტერინარული პრეპარატების გამოყენება;

გ) უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ვეტერინარული პრეპარატების აღრიცხვა სპეციალურ ჟურნალში ან ელექტრონული ფორმით, სადაც აღნიშნული უნდა იყოს: ვეტერინარული პრეპარატის დასახელება, რაოდენობა, მიღების თარიღი, მიმწოდებლის დასახელება, სერიის ნომერი და ვარგისიანობის ვადა. მრავალდოზიანი ვეტერინარული პრეპარატების გამოყენებისას მიეთითოს პირველადი შეფუთვის დარღვევის წელი, თვე, რიცხვი და დრო;

დ) კანონმდებლობის შესაბამისად, გადამდებ დაავადებებზე ეჭვის მიტანის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სააგენტოს;

ე) ვეტერინარმა/ვეტერინარმა ტექნიკოსმა/გრუმინგის განმახორციელებელმა თითოეულ ჩატარებულ ღონისძიებაზე უნდა აწარმოოს ჩანაწერები, ელექტრონულად ან შესაბამის ჟურნალში, რომელიც უნდა ასახავდეს გრუმინგის საქმიანობასთან დაკავშირებულ დეტალებს;

ვ) დანერგილი უნდა ჰქონდეს ინფექციის პრევენციისა და კონტროლის გამართული სისტემა (ხელის ჰიგიენა, დეზინფექცია/ინსტრუმენტების სტერილიზაცია და ა. შ.).

ზ) ვეტერინარული მომსახურების შედეგად მიღებული ნარჩენების მართვა უნდა ხორციელდებოდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ვეტერინარული პრეპარატების შენახვისას დაცული უნდა იქნეს ამ წესის მე-3 მუხლის 24-ე პუნქტის მოთხოვნები.

3. დაცული უნდა იქნეს ცხოველებისადმი ჰუმანური დამოკიდებულების ყველა არსებული პრინციპი.

4. გრუმინგს უფლება არ აქვს, განახორციელოს ვაქცინაცია, დაავადებების დიაგნოსტირება, მკურნალობა, კბილების გაწმენდა, სტერილიზაცია/კასტრაცია.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 ივლისის დადგენილება №391 - ვებგვერდი, 27.07.2022წ.
საქართველოს მთავრობის 2026 წლის 12 მარტის დადგენილება №103 - ვებგვერდი, 13.03.2026წ.

მუხლი 8. ზოომაღაზიის საქმიანობასთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. ზოომაღაზია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) განთავსებული უნდა იყოს იზოლირებულ შენობაში ან შენობაში –იზოლირებულად, ჰქონდეს ვენტილაცია, წყალმომარაგება, ოთახების (სადაც ხდება ცხოველთა განთავსება) კედლების, ჭერისა და იატაკის მოპირკეთება უნდა იძლეოდეს სველი წესით დასუფთავების საშუალებას;

ბ) უნდა მოხდეს ჯანმრთელი ცხოველების/ფრინველების რეალიზაცია და მოვლა-შენახვის პირობების დაცვა;

გ) ინვენტარი უნდა უზრუნველყოფდეს სარეალიზაციო ცხოველების მოვლა-შენახვისათვის და ბუნებრივი ქცევისთვის საჭირო პირობების შექმნას, რომელიც ითვალისწინებს ცხოველის საკვებისა და წყლის ხელმისაწვდომობას, დაავადებისაგან, ტკივილისაგან, შიშისა და სხვა სტრესფაქტორებისაგან დაცვას;

დ) დაუშვებელია ვეტერინარული პრეპარატების, ცხოველის სამკურნალო საკვების რეალიზაცია

და ცხოველის მკურნალობა;

ე) კანონმდებლობის შესაბამისად, გადამდებ დაავადებებზე ეჭვის მიტანის შემთხვევაში, აგრეთვე ცხოველთა მასობრივი მოწამვლა-მოშხამვის შემთხვევების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სააგენტოს;

ვ) თითოეულ ჩატარებულ ღონისძიებაზე ელექტრონულად ან შესაბამის ჟურნალში აწარმოოს ჩანაწერები, რომელიც უნდა ასახავდეს ზოომაღაზიის საქმიანობასთან დაკავშირებულ დეტალებს, ასევე, ცხოველზე განხორციელებული ვეტერინარული მომსახურების თაობაზე;

ზ) ვეტერინარული მომსახურების შედეგად მიღებული ნარჩენების მართვა უნდა ხორციელდებოდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

თ) უზრუნველყოს ცხოველი ვეტერინარული მომსახურებით, მათ შორის, ცოფისა და სხვა საშიში დაავადებების საწინააღმდეგო დროული ვაქცინაციით.

2. დაცული უნდა იქნეს ცხოველებისადმი ჰუმანური დამოკიდებულების ყველა არსებული პრინციპი.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 12 მარტის დადგენილება №103 - ვებგვერდი, 13.03.2026წ.

მუხლი 9. რეალიზატორი

1. შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის დაცვისა და მოვლა-პატრონობის უზრუნველსაყოფად, რეალიზატორი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს შინაური ბინადარი ცხოველის სახეობების მიხედვით განსათავსებელი სივრცის გამოყოფა, მისი სათანადო ინსოლაცია/განათება, დათბუნება და ვენტილაცია;

ბ) გააჩნდეს ინვენტარი, რომელიც უზრუნველყოფს სარეალიზაციო ცხოველების მოვლა-შენახვისა და ბუნებრივი ქცევისთვის საჭირო პირობების შექმნას, შინაური ბინადარი ცხოველის საკვებისა და წყლის ხელმისაწვდომობას დაავადებისაგან, ტკივილისაგან, შიშისა და სხვა სტრესფაქტორებისაგან დაცვას;

გ) მოახდინოს ჯანმრთელი შინაური ბინადარი ცხოველების რეალიზაცია;

დ) უზრუნველყოს ცხოველების სახეობის შესაბამისი კვება-დარწყულება;

ე) უზრუნველყოს შინაური ბინადარი ცხოველის რეგულარული გასეირნება;

ვ) უზრუნველყოს სარეალიზაციო ობიექტის ტერიტორიაზე სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა;

ზ) მარეგისტრირებელი ორგანოსთვის მიმართვით უნდა უზრუნველყოს შინაური ბინადარი ცხოველის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია;

თ) უზრუნველყოს შინაური ბინადარი ცხოველი ვეტერინარული მომსახურებით, მათ შორის, ცოფისა და სხვა საშიში დაავადებების საწინააღმდეგო დროული ვაქცინაციით;

ი) სარეალიზაციო ობიექტის ტერიტორიაზე არ დაუშვას არავაქცინირებული (ანტირაბიული ვაქცინაცია) ან/და საშიში (მათ შორის, ზოონოზური) დაავადების მქონე ცხოველის განთავსება;

კ) არ დაუშვას დედისგან მოშორება 2 თვის ასაკამდე ლეკვისა და 4 თვის ასაკამდე კნუტის, გაყიდვის მიზნით;

ლ) უზრუნველყოს სარეალიზაციო ობიექტზე ცხოველის შემოყვანისა და გაყიდვის აღრიცხვა;

მ) კანონმდებლობის შესაბამისად, გადამდებ დაავადებებზე ეჭვის მიტანის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;

ნ) თითოეულ ჩატარებულ ღონისძიებაზე ელექტრონულად ან შესაბამის ჟურნალში აწარმოოს ჩანაწერები, რომელიც უნდა ასახავდეს ინფორმაციას ცხოველზე განხორციელებული ვეტერინარული მომსახურების თაობაზე.

2. დაუშვებელია რეალიზატორის მიერ ვეტერინარული პრეპარატების რეალიზაცია და ცხოველის მკურნალობა.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 12 მარტის დადგენილება №103 - ვებგვერდი, 13.03.2026წ.

მუხლი 10. სასტუმროს საქმიანობასთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. სასტუმრო უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) დაცული უნდა იყოს შენობებისა და ვოლიერების სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები. კედლების, ჭერისა და იატაკის მოპირკეთება უნდა იძლეოდეს სველი წესით დასუფთავების საშუალებასა და დეზინფექციას;

ბ) შენობასა და ვოლიერს უნდა გააჩნდეს სათანადო ინსოლაცია/განათება, დათბუნება, ვენტილაცია, კანალიზაცია, ცხელი და ცივი წყალმომარაგება;

გ) უზრუნველყოფილი უნდა იყოს ცხოველის კვება-დარწყულება სახეობის შესაბამისად;

დ) ცხოველს უნდა ჰქონდეს თავისუფალი გადაადგილებისთვის საჭირო სივრცე და პირობები;

ე) არსებული მოწყობილობები, ავეჯი, ინვენტარი უნდა შეესაბამებოდეს საქმიანობასა და ტექნიკურ პირობებს, იყოს გამართულ მდგომარეობაში, ჰქონდეს ჰიგიენური საფარი, რაც უზრუნველყოფს მათ სველი წესით დასუფთავებასა და დეზინფექციას.

2. სასტუმროს მოწყობა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ბინაში დასაშვებია ბინათმესაკუთრეთა უმრავლესობის თანხმობის საფუძველზე.

3. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ბინაში მოწყობილ სასტუმროში არ შეიძლება, ერთდროულად განთავსდეს 15-ზე მეტი ცხოველი.

4. სასტუმრო არ უნდა ახორციელებდეს ცხოველთა ვაქცინაციას, დაავადებების დიაგნოსტირებას, მკურნალობას, სტერილიზაციას/კასტრაციას.

5. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იმ დაავადების აღმოჩენისას ან/და ეჭვის მიტანისას, რომლის შეტყობინების ფორმად მითითებულია „დაუყოვნებლივი“, სასტუმრო ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს სააგენტოს დაუყოვნებლივ, არაუმეტეს 24 საათისა, ხოლო შეტყობინებას დაქვემდებარებული დაავადებების ჩამონათვალით განსაზღვრული იმ დაავადების აღმოჩენისას ან/და ეჭვის მიტანისას, რომლის შეტყობინების ფორმად მითითებულია „აგრეგირებული“ (შემაჯამებელი), სასტუმრო ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს სააგენტოს აგრეგირებულად (ყოველთვიურად).

6. სასტუმროში დაცული უნდა იქნეს ცხოველებისადმი ჰუმანური დამოკიდებულების ყველა არსებული პრინციპი.

7. სასტუმროს დანერგილი უნდა ჰქონდეს ინფექციის პრევენციისა და კონტროლის გამართული სისტემა (ხელის ჰიგიენა, დეზინფექცია/ სტერილიზაცია, ნარჩენების მართვა და ა. შ.).

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 12 მარტის დადგენილება №103 - ვებგვერდი, 13.03.2026წ.

[მუხლი 11. კინოლოგიური/ფელინოლოგიური დაწესებულება და მის საქმიანობასთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. კინოლოგიური/ფელინოლოგიური დაწესებულება ვალდებულია ჰყავდეს კინოლოგი/ფელინოლოგი.

2. ცხოველის კეთილდღეობის დაცვის მიზნით, კინოლოგიური/ ფელინოლოგიური დაწესებულება უზრუნველყოფს:

ა) სანაშენე წიგნის (დოკუმენტი, რომელშიც შეტანილია ინფორმაცია ცხოველის წინაპრების შესახებ) წარმოებას;

ბ) ჯიშიანობისა და მოსაშენებლად ვარგისობის შესახებ ცნობის გაცემას;

გ) სხვადასხვა ჯიშის ცხოველების დატვირთვას, მათი ფიზიკური მახასიათებლებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

დ) ცხოველის მოვლა-პატრონობასთან, მოშენებასთან, კვებასთან, სელექციასთან, ფიზიოლოგიურ თავისებურებებთან, აგრეთვე ქცევის შესწავლასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების გაწევას;

ე) შესაბამის საწვრთნელ სივრცეში ცხოველის წვრთნას (ინდივიდუალური და სპორტული წვრთნა), სოციალიზაციას, ქცევის კორექციას;

ვ) ცხოველის მდგომარეობის შეფასებასა და გადამეტებული აგრესიის დადგენას;

ზ) ცხოველების გამოფენის ორგანიზება-ჩატარებას;

თ) სასწავლო კურსებისა და მოდულების ორგანიზება-ჩატარებას.

3. ჯიშიანობისა და მოსაშენებლად ვარგისობის შესახებ ცნობად არ ჩაითვლება ის დოკუმენტი, რომელშიც მითითებული არ არის ინფორმაცია ცხოველის წინაპრების შესახებ.

4. კინოლოგიურ/ფელინოლოგიურ დაწესებულებას უფლება აქვს, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოში რეგისტრაციის გავლის შემთხვევაში, თავის ტერიტორიაზე მოაწყოს საშენი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. კინოლოგიური/ფელინოლოგიური დაწესებულება ცხოველის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად ვალდებულია განახორციელოს აქტიური კომუნიკაცია სააგენტოსთან, მათ შორის, ინფორმაციის დროული გაცვლა.

6. კინოლოგიურ/ფელინოლოგიურ დაწესებულებას დანერგილი უნდა ჰქონდეს ინფექციის პრევენციისა და კონტროლის გამართული სისტემა (ხელის ჰიგიენა, დეზინფექცია/სტერილიზაცია, ნარჩენების მართვა და ა. შ.).

7. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იმ დაავადების აღმოჩენისას ან/და ეჭვის მიტანისას, რომლის შეტყობინების ფორმად მითითებულია „დაუყოვნებლივი“, კინოლოგიური/ფელინოლოგიური დაწესებულება ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს სააგენტოს დაუყოვნებლივ, არაუმეტეს 24 საათისა, ხოლო შეტყობინებას დაქვემდებარებული დაავადებების ჩამონათვალით განსაზღვრული იმ დაავადების აღმოჩენისას ან/და ეჭვის მიტანისას, რომლის შეტყობინების ფორმად მითითებულია „აგრეგირებული“ (შემაჯამებელი), კინოლოგიური/ ფელინოლოგიური დაწესებულება ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს სააგენტოს აგრეგირებულად (ყოველთვიურად). ***(ამოქმედდეს 2028 წლის 1 ივლისიდან)]***

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 12 მარტის დადგენილება №103 - ვებგვერდი, 13.03.2026წ.

მუხლი 12. საშენი და მის საქმიანობასთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. საშენი რეგისტრირებული უნდა იყოს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. საშენის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა განთავსდეს მომხმარებლისთვის თვალსაჩინო ადგილას.

3. სანაშენე ცხოველის მიზნობრივი და გეგმაზომიერი მოშენების უზრუნველყოფის მიზნით, საშენი ვალდებულია:

[ა) ჰყავდეს კინოლოგი/ფელინოლოგი; ***(ამოქმედდეს 2028 წლის 1 ივლისიდან)]***

ბ) შეასრულოს კანონმდებლობით დადგენილი, ცხოველის მოშენებასთან დაკავშირებული მოთხოვნები;

გ) დაიცვას სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები;

დ) მოაწყოს ცხოველის განსათავსებელი ღია და დახურული სივრცეები, უზრუნველყოს მათი სათანადო ინსოლაცია/განათება, დათბუნება და ვენტილაცია;

ე) მოაწყოს შესაბამისი სივრცე, ნაყარის მიღების შემთხვევაში;

ვ) უზრუნველყოს სანაშენე ცხოველისა და მიღებული ნაყარის დოკუმენტური აღრიცხვის წარმოება;

ზ) უზრუნველყოს სანაშენე წიგნის (დოკუმენტი, რომელშიც შეტანილია ინფორმაცია ცხოველის წინაპრების შესახებ) წარმოება;

თ) უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს ან/და სააგენტოს მიმართვის საფუძველზე მოთხოვნილი ინფორმაციის წარდგენა;

ი) უზრუნველყოს ამ წესითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნების შესრულება.

4. საშენი ვალდებულია უზრუნველყოს მიღებული ნაყარის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია კანონმდებლობის შესაბამისად.

5. საშენს დანერგილი უნდა ჰქონდეს ინფექციის პრევენციისა და კონტროლის გამართული სისტემა (ხელის ჰიგიენა, დეზინფექცია/ სტერილიზაცია, ნარჩენების მართვა და ა. შ.).

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 12 მარტის დადგენილება №103 - ვებგვერდი, 13.03.2026წ.